2.2. ს.კ. გორის „დილას" გორის ცენტრალური სტადიონის გასახდელების წესრიგში მოსაყვანად მიეცეს ვადა მომდევნო საშინაო მატჩებედ (10.09.05). წინააღმდეგ შემთხვევაში, მატჩების გამართვა მოეწვეს ნეიტრალურ სტადიონზე.

3.1. ს.კ. ბოლნისის „სიონის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს კლუბის წარმომადგენლის მატჩისწინა კრებაზე 1.30 საათით ადრე გამოცხადება.

კვიპროსიდან – რუსეთში

კვიპროსის „აპოროლისის" ქართულ ლეგიონს გიორგი ქინქლაძე გამოაკლდა. ფეხბურთელმა ახალ გუნდში გადასვლა გადაწყვიტა და არჩევანი რუსული პრემიერლიგის კლუბ „ურბინზე" შეაჩერა. გიორგი კვიპროსიდან წამოვიდა და გუშინ, მოსკოვიდან ყაზანში ჩავიდა კლუბის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად. ყაზანელებმა ქინქლაძის თამაში შორსმჭვრეტელ „ერენჯურსთან" ჩემპიონთა ლიგის შესაძე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩისას ნახეს და კონტრაქტის თაობაზე და ქართველის გუნდში მიწვევაზეც მაშინვე ილაპარაკეთ. გიორგისა და კლუბის მესვეურთა მოლაპარაკების შემთხვევაში ქინქლაძე „ურბინს" შაბათის კალენდარულ მატჩში შეუერთდება. ასე რომ, საკმაოდ შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრება ლაშა სალუქვაძე და გიორგი ქინქლაძე თანაგუნდელები გახდნენ.

გოგიგა გოგუას თერგდალეულობა სურდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახვარმეკვეთი გოგიტა გოგუა კარგა ხნის წინ, გრიზნოს „ტერეკში" უნდა გადასულიყო, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი არ შედგა და ფეხბურთელი, ისევ პირველი ლიგის „ხიმკიში" დაბრუნდა, სადაც ხშირად თამაში არ უწევდად და უკმაღ იყო. ახლა შეიძლება ვითარება შეიცვალოს და მისი გრიზნოელთა რიგებში გადასვლა საკმაოდ რეალურია. „ტერეკში" თამაში ფეხბურთელ სურს და იმედი აქვს, რომ ახალ კლუბში გაცილებით მეტი სათამაშო პრაქტიკა ეჭნება. გოგუას თავიზე კლუბის შორის მოლაპარაკება გრძელდება და რამდენიმე დღეში ფეხბურთელის ბედიც გაირკვევა.

P.S. გაზეთის დაბეჭდვის წინ შევიტყვეთ, რომ „ტერეკთან" კონტრაქტი არც ამჯერად შედგა.

გაკვეხარდაშვილი „შინიკში", კანდელაკი – „ვეზალისში"

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე კვირაღაა დარჩენილი ახალი კლუბის ეძებაზეა შეიძლება გაირკვეს.

ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილ მეკეთს **დავით გამეზარდაშვილს** „როსტოვთან" და მოსკოვის „ლოკომოტივთან" კონტრაქტები ჰაქვსა და დღემდე უფიქრდებოდა. დაითო ესკე იარაღოვანი და იქაური „შინიკის" მესვეურებთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა მკეთს **ილია კანდელაკს** და იგი თავისუფალი აგენტის სტატუსით ხარკოვში იმყოფება. კლუბთან მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში იგი „ხარიკის ჯარანის ერთ-ერთ სუპერლიგაში „მეტალისტში" გაგრძელებს. ხარკოვში ილიას პატრნიორობას თავდაპირველი ლაშა ჯაკობავა გაუწევს.

დაფშანდა ახალი ფედერაცია

რამდენიმე დღის წინ, კონკრეტულად, 21 აგვისტოს ამპროლაურში დაფუძნდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია. შუსაბამისად, ეაიზარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტების რაოდენობა. დამფუძნებელ კონფერენციას ესწრებოდნენ სფფ-ს გენერალური მდივანი ცაიგა და სტუმრის სტატუსით, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რევაზ მგელაძე. ხსხომაზე მგელაძეები ახალი ფედერაციის წესდება და აღმასრულებელი კომიტეტის შეიდკაციანი შემადგენლობა. ფეხბურთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ვეტერანი ფეხბურთელი და მწვრთნელი გია შარაბიძე, პასუხისმგებელ მდივნად – ენრიკო ჩიტლაძე.

ყველაზე გაიგოს: „ლოკომოტივის“ სპეციფიკი მიხეილ მესხის სახელობისა

კარგა ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, თუ ვისი სახელობისაა „ლოკომოტივის“ რკონსტრუქციებული სტადიონი. ზოგი ამბობს, რომ სტადიონი 26 მაისის სახელობისაა, ზოგი მიხეილ მესხის სახელს უკავშირებს, ზოგიც უბრალოდ, ვაკის სტადიონად მოიხსენებს. როგორც ჩანს, ბევრმა არ იცის, რომ ამ სპორტულ არენას 2004 წლიდან ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის სახელი მიანიჭეს. ამასთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ ადამიანს, რომელსაც ოდესღაც წვლილი მიუძღვის სტადიონისათვის მიხეილ მესხის სახელის მინიჭებაში. ბატონი ლეონარდ ლომელაძე საბუთებით გვეახლა რედაქციაში.

მიხეილ მესხი

— არავინ იცის, რომ მიხეილ მესხს ცხოვრებაში ბევრჯერ ატკინეს გული, — ამბობს ბატონი ლეონარდი, — ამ ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუნდაც რად ღირს ის, რომ 1963 წელს საბჭოთა ფეხბურთის მაღალჩინოსნებმა მიხეილ მესხი არ გაუშვეს ლონდონში მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში საასპარეზოდ, როცა აღინიშნებოდა ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავი... ის აიძულეს კიდეც, ნაადრეად დაესრულებინა საფეხბურთო კარიერა. მიხეილ მესხი მიენებებინათ განუმეორებელი ფეხბურთელის სახელი. დედაქალაქს მერიამ ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა რკინიგზის დეპარტამენტს, რათა სახელო ფორმალობა მოგვარებულიყო...

◆ *რკინიგზის დეპარტამენტმა რა-ტომ გააჭიანურა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა?*

— საქმე ამაშია, უნდა გახსნილიყო ახალი სტადიონი და ყველანი სულმოუთქმელად ველოდით, რომ რკინიგზის მაშინდელი შეფი **აკაკი ჩხაიძე** საზეიმოდ გამოაცხადებდა, გადაწყდებოდა სტადიონისათვის მესხის სახელის დარქმევის შესახებ, მაგრამ... მან დამსწრე საზოგადოების წინაშე თქვა, რომ წინააღმდეგი შემოაქცა „ლოკომოტივის“ სტადიონს მინიგებოდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** სახელი. ამას მოაქვს გამაკუდებელი სტვენა, ლანძღვა და ჯინება ტრიბუნებიდან. უამრავმა გულშემატკივარმა დატოვა სტადიონი, მათ შორის მიხეილ მესხის ოჯახის წევრებმაც. პრეზიდენტ შევარდნაძეს შეიძლო სიტუაციის განმუხტვა, მაგრამ მან ასე ბრძანა: „მომავალ თაობამ გადაწყვიტოს ვისი სახელი მიენიჭოს სტადიონს“. ამის შემდეგ პრესაში დაიბეჭდა მრავალი წერილი ამ ფაქტთან დაკავშირებით. მახსოვს, ერთ-ერთი გაზეთისათვის მიეცემულ ინტერვიუში, რეპერორმა **გოგა ლოთიფიანიძემ** აღნიშნა: „რომელი მარცხენა გარემაში შევარდნაძე მყავდა, რომ სტადიონს მისი სახელი დარქმეოდაო“.

◆ *როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები?*

— ვარდების რევოლუციის შემდეგ, რკინიგზის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელად **ლევან ვარშალომიძე** დაინიშნა. ყველა სპეროთი ხელში შეეხვდი მას, რომელმაც აღნიშნა საქმეში კარგად გარკვევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ისე, როგორც ამას ფეხბურთის გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი მოითხოვდა. მოხდა ისე, რომ ლევან ვარშალომიძე მალე გადაიყვანეს ჯპარაში სამუშაოდ. დაწერილია საქმე კი დაბოლოება ვერ ჰპოვა. ვარშალომიძის ადგილზე მოგვევლინა **დავით ონოფრიშვილი**, ნაღდი თბილელი კაცი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი. მას წარკუდგინე ხელახლა გაეცნიერი ყველა საქირო საბუთი, რათა საქმე ადგილიდან დაძრულიყო. ჩემთვის მოულოდნელი და ამავე დროს სასიხარულო იყო ის, როცა თავად ბატონი დავით დამიკვირვება ტელეფონით და მითხრა, რომ მას ყველა საბუთი ხელთა აქვს და ორ-სამ დღეში შემიძლო მასთან მისვლა. კარგად მახსოვს ის დღე, პარასკევი იყო... ორშაბათს, 2004 წლის 9 აგვისტოს, შემ „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს მიიღო გადაწყვეტილება, „ლოკომოტივის“ სტადიონს მინიგებოდა მიხეილ მესხის სახელი. მეორე დღეს რკინიგზის ხელმძღვანელობის ვიყავი. კაბინეტში შესულისას გულთათვი მადლობა გადაუხადე ბატონ დავით ონოფრიშვილს მიხეილ მესხის ათასობით თაყვანისმცემელის სახელით. ისტორიასთვის სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ბატონ დავითს იმისათვის, რომ მან მიიღო ასეთი მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილება.

◆ *საზოგადოებამ ამის შესახებ მხოლოდ 2005 წლის მარტში შეიტყო. რატომ ასე დაგვიანებით?*

— შემ „საქართველოს რკინიგზას“ საკითხი წესით უნდა შეეთანხმებინა ქალაქის მერიასთან. ამას გარკვეული დრო დაჭირდა. ბატონმა დავითმა ისტორიული ფაქტის შესახებ საზოგადოებას პრესკონფერენციის საშუალებით აცნობა, წლეულს, მარტში.

ესაუბრა თენგიზ ჩოგანიძე

ვრცელი ინტერვიუ

დავით ონოფრიშვილი (მარცხნივ) და დემიკო ლოლაძე

იყო ფეხბურთის მიღიონობით გულშემატკივრის ცრემლი და მისი სახელი ოჯრის ალიებით შეეხო ფეხბურთის ისტორიაში. ფეხბურთის ლეგენდის ნადირევი გარდაცვალების შემდეგ, გულშემატკივართა შორის (ე. ჭიაურელი, რ. ბაჭარაძე, ზ. ჩიქოანი და სხვა) წარმოიშვა მოსაზრება, რომ მესხის სახელი დარქმეოდა სტადიონს, სადაც მან მთელი თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში არცერთი დაფეწყარი შეხვედრები ჩაატარა, სიდანაც იგი 1969 წლის 16 აგვისტოს გაიცილა ათიეული ათასობით ცრემლმორეულმა გულშემატკივარმა.

გაყეთდა შესაბამისი წარდგინება თბილისის მერიის სახელზე და 2001 წლის 23 ოქტომბერს ამ უკანასკნელის მრჩეველთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, „ლოკომოტივის“ სტადიონისთვის მიენიჭებინათ მიხეილ მესხის სახელი. ამის შემდეგ ხელისუფლების ცვლილებებმა ჩაიარა, ქალაქის მერიის სათავეში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს საკითხი ისე დარჩა, თითქოს არც არასდროს ყოფილა. ამ საკითხის გადაწყვეტა ხელახლა დაიწყო ჩემი ინიციატივით

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

პაბლო გარსია პირველი გიშტის მოლოდინში

პაბლო გარსიას ვერასოდეს წარმოედინა, რომ ოდესმე მადრიდის „რეალში“ თამაშებდა. დღეს გარსია „სამეფო კლუბის“ ახალწვეულია. ფორვარდი ამბობს უფრო კარგად შეიტყო, თუ რას ნიშნავს მადრიდის „რეალი“, როცა ეს გუნდი ბაშკა და ბაიას სტუმრობაზე ამხანაგობრივ მატჩებს ჩასატარებლად. გთავაზობთ პაბლო გარსიას მიერ უეფას ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუს.

◆ *ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვა მადრიდის „რეალში“ გადასვლის შემდეგ?*

— ამ გუნდის გულშემატკივართა დახვეწილ. ეს საოცარი რამ იყო...

◆ *რით განსხვავდება „რეალი“ „მილანისაგან“, სადაც შენ გითამაშია?*

— „მილანში“ 6 თვე გავატარე. არ შეიძლება მისი შედარება „რეალთან“. ტალიანში ყველაფერი სხვანაირად იყო, – ყურანალისტებსაც არ შეეძლოთ მოსვლა „მილანის“ ვარჯიშებზე. აქ ესპანეთში, „სამეფო კლუბის“ ვარჯიშებს ყურანალისტების „არმია“ ესწრება.

◆ *როგორ შეაფასებდით მადრიდის „რეალის“ დონეს?*

— ადრე რამდენჯერმე მითამაშია „რეალის“ წინააღმდეგ და მაშინ გავიგე, რომ ამ გუნდს ჰყავს ბრწყინვალე მოთამაშეები. მე ახლა ვეცდები შევწყო მათ.

◆ *ადრე, როცა „ოსასუნას“ დილეგებს ცვლიდი, „რეალთან“ ერთ-ერთი მატჩის დროს ივან ქლებერას წაჰგიუბე. ახლა როგორი ურთიერთობა გაქვს მასთან?*

— ძალიან კარგი. არ შეიძლება, ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება გქონდეს. გუნდის ზოგიერთ წევრთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ზოგიერთთან — ჩვეულებრივი, — ასეა ცხოვრებაში.

◆ *გაითამაშებ, რომ მადრიდის „რეალმა“ ყოველ თამაშში გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს?*

— დიახ. „რეალი“ თითოეული მოთამაშისათვის სერიოზული გამოწვევაა. „სამეფო კლუბის“ ერთადერთი მიზანი — ახალ სეზონში რაც შეიძლება ბევრი ტიტულის მოგებაა. პირადად მე აქამდე არაფერი მომიგია და აქედან გამომდინარე, 2005-2006 წლების სეზონი მეტად მნიშვნელოვანია. მჯერა, რომ ცხოვრებაში პირველ ტიტულს ამ სეზონში მოვიპოვებ.

◆ *არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თქვენ გნახეს მაიამეით, რომელზედაც ბევრი რამ გეკეთა იყო გამოსახული. შენ მისი მომხრე ხარ?*

— ცოტაოდენ. მე მომწონს ჩე გევარა, მაგრამ არ მომწონს პოლიტიკა. ჩე გევარას შესახებ წამიკითხავს ბევრი რამ და ლტოლვილში მომიყვნა მისმა ცხოვრებამ, მისმა საქმეებმა.

◆ *ჩე გევარას ცხოვრება სხვაა და ფეხბურთი სხვა...*

— მესმის, ფეხბურთი ხომ სპორტია და ცოტა ბიზნესიც. უნდა ვაკეთო ის, რაც კლუბს სჭირდება. მე ყველაფერს გავიღებ მადრიდის „რეალისათვის“.

◆ *ერთი კითხვა წინ ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშით ამბანავურ მატჩში...*

— ეს თამაში ჩემთვის მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო. ესპანეთის ნაკრებში ხომ ბრწყინავე ფეხბურთელები თამაშობენ.

◆ *რას იტყვით ლუის არაგონესზე?*

— ის დიდი მწვრთნელი და დიდი ადამიანია.

◆ *ლეშემპურთზე?*

— შესანიშნავი სპეციალისტია, რომელმაც ამ ზაფხულს კოლოსალური სამეშაო ჩაატარა, რათა მადრიდის „რეალი“ კარგად მოემზადებინა ახალი სეზონისათვის. დარწმუნებული ვარ, ლეშემპურთს შრომა დაფასდება და „სამეფო კლუბი“ ახალ სეზონში დიდ წარმატებებს მიაღწევს.

„ბელსი“ – დაუმარცხებელად

ლონდონის „ჩელსიმ“ სანიათ წაუგებელი შეხვედრების სერია 40-მდე აიყვანა. გუშინწინ ინგლისის პრემიერლიგაში ბრაძოფორის გუნდმა ზედაზედ მესამე თამაში მოიგო, ამჯერად წარმატების არავითარი შანსი არ დატოვა „ვესტ ბრომვიჩს“ — 4-0. ორი ბერით ლემპარდმა გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს კი კოულმა და დიდიე დროგბამ. ამ შეხვედრაში „ჩელსი“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კუნიჩინი, დიე ორნო, გალასი, გ. ჯონსონი, ტერი, ჯ. კოული (რობენი, 69), ესიენი, ლემპარდი, მაკეილუე, რიატ-ფილიპსი (დაფი, 79), დროგბა (კრისპო, 71).

ლონდონის „არსენალმა“ „ფულემი“ გაანადგურა — 4-1. „დუბლი“ შეასრულეს სიგანმა და ანრიმ. „ფულემის“ მხრიდან ერთადერთი სპასუხო ბურთის ავტორია ივენსონი.

„არსენალი“: ლემანი, ჯ. კოული, სიგანი, ტორეხი, ტურე, ფაბრეგასი, ა. გილი (ლანში, 83), სილვა, ბერგკამპი, ანრი, რეიესი (ფლამინი, 77).

მესამე ტურის სხვა შეხვედრები: „ბლეკბერნი“ — „ტოტენჰემი“ 0-0, „ბოლტონი“ — „ნიუკასლი“ 2-0, „ბირმინგემი“ — „მიდლსბრო“ 0-3, „პორტსმუთი“ — „ასტონ ვილა“ 1-1, „სანდერლენდი“ — „უიგენსტერ სიტი“ 1-2. საბურნირო ცხრილის პირველი ხუთეული.

ჩელსი	3	3	0	6-0	9
ტოტენჰემი	3	2	1	0	4-0	7
მანჩ. სიტი	3	2	1	0	4-2	7
არსენალი	3	2	0	1	6-2	6
ჩარლტონი	2	2	0	0	4-1	6

ვოლკინინი: „ეგზაუთოლვას ისე ვივლარობა, როგორც საუკეთესო ვეფხვებს“

ლონდონის „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა, ჯოზე მოურინიომ გუროლსტებს განუცხადა, რომ თავის შეგორდებს ძალზე თბილად ეპყრობა. „მოთამაშეებს ჩემი ძა უნიჩიათ, მათ იციან წესები, მათ იციან, რომ შემიძლია ვიბუზრო, ვიცინო, მაგრამ მერე ყველა ცუდ გუნებაზე ვიყო. შეგორდებმა უნდა იცოდნენ, როდის მიმართონ ერთმანეთს და მწვრთნელს. მათ თავიანთი საქმე უნდა უყვარდეს. წარმოიდგინეთ ოჯახი, — როგორ ვიტკივარებ საქმეს შეუღლესთან და სხვა ახლობლებთან, ისე ვიტკივარებ ფეხბურთელებთანაც“, – ამბობს მოურინიო.



ბერლუსკონი – შვევნგოს შვილის ნათლია

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც ამავე დროს იტალიური საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მფლობელიცაა, გახდება უკრაინელი თავდასხმელის ანდრეი შევჩენკოს შვილის ნათლია. ნათლობა შედგება 29 სექტემბერს. საინტერესოა, რომ სწორედ ამ დღეს თავად „მილანის“ თავდასხმელს დაბადებიდან 29 წელი უსრულდება. შევჩენკოს შვილი ჯორჯანი გახვეწი წლის 29 ოქტომბერს დაიბადება.

– ერის გიტჟით., სჯოს 35 მატჩი ფეხბურთელმა მაღალ დონეზე ჩაატარა, ვიდრე 70 მატჩი საშალო დონეზე. ფეხბურთელმა მაღალ დონეზე ცალლეგებს მაშინ, როცა ეს საჭირო იქნება.

◆ *საკმაოდ ბევრი ინტრიგულეჯი რობინოს ტრანსფერზე...*

— ბევრი წინააღმდეგობები შეგხვდა მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი ჩვენს სასეიროდ დასრულდა. მოხარული ვარ, რომ ჩვენს გუნდში ითამაშებს ისეთი ბრწყინვალე ფეხბურთელი, როგორიც რობინოია.

◆ *ბევრი სპეციალისტი ფიქრობს, რომ რობინოი დროულად ვერ მოახერხებს ადაპტაციას ესპანეთის ჩემპიონატში...*

— მოეთიმინოთ. თავის დროზე ადრიანმა გაუპრიდა შეგხვედა იტალიურ სტილთან. რობინიოს ახალ ქვეყანაში ადაპტაციაში დაეხმარება ვანდერლეი ლუშემპურო, რომელმაც კარგად იცის, თუ როგორ გამოიყენოს ეს ფეხბურთელი.

◆ *კარგად, რომ ვუსწრებ ამგვარ ბრაზილელად?*

— რა თქმა უნდა. ლუშემპურგის დამხარეზე სჭირდება. სჯოს ოთხი ბრაზილელი გვყავს გუნდში, ეიდრე ოთხი ფეხბურთელი სხვადასხვა ქვეყნიდან.

◆ *როგორც ვხედავ, „რეალი“ საკმაოდ გაძლიერებული ხედება ახალ სეზონს.*

— დიახ. ჩვენ ძლიერი, დაბალანსებული გუნდი გვყავს და დარწმუნებული ვარ, „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულსაც მოიპოვებს და წარმატებით ითამაშებს ევროპის ჩემპიონთა ლიგაში.

მარადონას საიდუმლო

სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა ჯერჯერობით არ არის მზად, ბოლომდე მოიხადოს იმ ბურთისათვის, ინგლისის ნაკრებს კარში რომ გაიტანა მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე. ყოველ შემთხვევაში დიეგო უკვე ალარ საუბრობს, რომ მას „ღმერთის ხელი“ დაეხმარა. არგენტინელმა ვარსკვლავმა საკუთარ ტელეშოუში მაყურებლებს დეტალურად აუხსნა ზუმოთ ნახსენები გატანილი ბურთის პერიპეტიები.

— „რადაგნაირად გამომივიდა. იმ მომენტში არ შემიძლო ბურთი თავურით გამეტანა, რადგან ინგლისელთა მაშინდელი გოლკიპერი პიტერ შილტონი ჩემზე მაღალი იყო, ამიტომ მუშტიც მოვახმარე და ისე ოსტატურად გამომივიდა, რომ მსაჯებმა ვერაფერი შენიშნეს. თანაც, ბურთი ინგლისელთა კარის ბადეში რომ აღმოჩნდა, არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვიზეიმე, გუნდელებიც ახლად დაჯილდოებულად გამოექცნენ ჩემსკენ გასალოცად“. – ეხსენებს დიეგო.

ვიდეოჩანაწერზე მარადონას მაქინაცია თვალნათლივ ჩანდა, – თუმცა ანგარიშით ამით ალარ შეიცვლებოდა. არგენტინის ნაკრებმა ის შეხვედრა 2-1 მოიგო და კიდევ სამი მატჩის მოგების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

წინ ჯგუფური ეტაპია

გაიმართა ევროპის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის გამმორებითი შეხვედრები. ლიგის გამარჯვებულმა „ლეგიჩუელმა“ საკუთარ მოედანზე მოულოდნელად 0-1 წააგო სოფიის ცსკა-სთან, მაგრამ ჯგუფურ ეტაპზე მაინც ინკლინური კლუბი გავიდა, ვინაიდან პირველი თამაში რაფელ ბენიტესის გუნდს 3-1 ჰქონდა მოგებული.

ცსკა-სთან „ლეგიჩუელის“ შემადგენლობა ასეთი იყო: კარსინი, ფინანი, ჰიუინია, ხოსეინი, ჰამანი, პიტერი (ლუის გარსია, 46), რიისე, სისოკო, ფორნაო (ზენდენი, 64), სისე (პონგოლე, 83), მორინტესი.

„ბეტისმა“ პირველი შეხვედრა „მონაკოს“ 1-0 მოუგო. მეორე თამაშში ფრანგებმა საკუთარ „კედლებში“ თამაშობდნენ, თუმცა, გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწიეს და ფრეს დასჯერდნენ — 2-2. ბევრისათვის მოულოდნელი გამოდგა მონაკოელ „ლოკომოტივის“ მარტინ საკუთარ მოედანზე ვენის „რაპიდთან“. ამ გუნდების პირველი თამაში ავსტრიაში ფრედ 1-1 დასრულდა და მონაკოელებს საკუთარ მოედნზე ხელოვანი ფრეც აძლევდათ ხელს. საქმეც ამ მხრივ მიდიოდა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ვილაბოკიჩის გატანილმა ბერთამ გამარჯვება „რაპიდს“ მოუტანა. „ლოკომოტივს“ რიგებში 90 წუთი თითმაზე მალზაზ ასათიანმა. **რკინიგზელთა გუნდის შემადგენლობა:** ოჟინიკეიკი, პაშინინი, ევსკევი, სენიკოვი, ასათიანი, გურენკო (რუხაძე, 86) მამინური, ბილიაკუტდინოვი, ხოხლოვი, სამედოვი (იზმაილოვი, 57). ლეგმედენო.

ჯგუფური ეტაპე გააღწია შოტლანდიური „სელტიკის“ გამგეებმა „არტმედიამ“. რომელმაც ამჯერად ბელგრადის „პარტიზანი“ ჩაჰიშორა გზიდან. გუნდების რიგებ შეხვედრა ფრედ 0-0 დასრულდა. საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა, სადაც „არტმედიას“ ფეხბურთელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ — 4-3.



შოტლანდიური „რეინჯერსმა“ 2-0 დამარცხა თემური ქეცბაიას „ანორთოსისი“. ბურთები ბუფეტმა და პრშომ გაიტანეს.

გუნდების შემადგენლობა. „რეინჯერსი“: ვატერსონი, ბოლი, პიერ-ფანფანი, რიკსონი, როდრიგესი, ბუფეტი (მაკორნაკი, 74), ფერგიუსონი, მიურეი (რაზნი, 85), ლოვენჯრანდსი, ნიუო, პრშო (ტომპსონი, 66).

„ანორთოსისი“: გეორგალიდისი, კატსაბაკისი, კისნინიოს, ჰაბერი, ქეცბაია (სამპანსი, 64), ლუკა, მარაგოსი (კონსტანტე, 52), ნიკოლუ, ფრუსისი, პურსიანტიდისი, წიტაძეული (ცოლაკიდისი, 72).

ყველა შეხვედრის შედეგი იხილეთ მე-4 გვერდზე.

სამი გამარჯვებული

დასრულდა ინტერტოტოს თასის გათამაშება. როგორც ცნობილია, ამ ტურნირში ევინდება სამი გამარჯვებული გუნდი, რომლებიც ატლანტიკურად გააგრძელებენ ბრძოლას უეფას თასის გათამაშებაში.

ყველაზე საინტერესო გამოდგა განმეორებითი ფინალური თამაში ფრანგულ „მარსელსა“ და ესპანურ „დეპორტივოს“ შორის. პირველი შეხვედრა ესპანელებმა ღა კორუნაში 2-0 ჰქონდათ მოგებული და ტტვმრად 0-1 წაგებაც აძლევდათ ხელს, თუმცა...

უკვე მეოთხე წუთზე „მარსელი“ დაწინაურდა რობერის გატანილი ბურთის წყალობით. ოთხ წუთში ესპანელებმა ანადგურეს წონასწორობა. მეცხრე წუთზე ორივე გუნდი 10-10 ჯაეს შემადგენლობით დარჩა მოედანზე — მსაჯმა რობერი და დიუნარი გაალეკა.

65-ე წუთზე მეიტემ დააწინაურა „მარსელი“. რამდენიმე წუთში წოდილი ბარათი მიიღო კაპეტანელამ და „დეპორტივო“ უკვე 9 მოთამაშის ამარა დარჩა. ამ მოვლენაში „მარსელის“ რიგებში გაიბრწყინა ნანნიმ, რომელმაც მეტჭოს კარი ორჯერ აიღო — 4-1. მატჩს საბოლოო წერტილი ორჭმამ დაუსვა. „მარსელმა“ 5-1 იმარჯვა და ინტერტოტოს თასიან ერთად უეფას თასის გათამაშების სავჩურიც მოიპოვა. „ალენსიამ“ ვერც განმეორებით შეხვედრაში შეძლო გერმანელი „ჰამბურგის“ დამარცხება — 0-0 (პირველი თამაში — 0-1), ხოლო ფრანგულმა „ლანსმა“ 3-1 დაამარცხა რუმინული „ალტეი“ (პირველი შეხვედრა 1-1).

NBA

ნბა

როდვანი ერთი ღლით?

ფინური საკალათბურთო გუნდი „ტაპპარს" ღირსებას დაიცავს ნბა-ს ლეგენდარული მოთამაშე დენის როდმანი. საინტერესოა, რომ როდმანი მხოლოდ ერთ მატჩს ჩაატარებს. „ტაპპარის" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ როდმანის ტურნირი თავისებურ სილამაზეს შესძენს გუნდის მიერ ჩატარებულ მატჩს.

ნბა-ს ხუთგზის ჩემპიონი დენის როდმანი თამაშობდა „დეტროიტში", „ჩიკაგოში", „ლიგერსებში" და „დალასში". ის დიდი კალათბურთიდან 2000 წელს წავიდა. თუმცა, მას შემდეგ რამდენიმე მატჩი ჩატარა დასალი რაინის ლიგებში.

დევისი „დეტროიტში" ითამაშებს

ნბა-ს კლუბმა „დეტროიტმა" კონტრაქტი გააფორმა 36 წლის ცენტრფორვარდთან დენი დევისთან. პირობების მიხედვით, კალათბურთელი 7 მილიონ დოლარს მიიღებს. დევისი ნბა-ში 1991 წლიდან თამაშობს, ბოლო პერიოდში „ინდიანას" ღირსებას იცავდა – საშუალოდ მატჩში 6,9 ქულას აგროვებდა და 8,9-ჯერ ხსნიდა ბურთს ფარიდან.

დევრეკ ანდერსონმა, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში „პორტლენდის" შემადგენლობაში თამაშობდა, ამ ზაფხულის თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. მან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა „პიუსონთან". ამ ხნის განმავლობაში ანდერსონი 1,67 მილიონ დოლარს მიიღებს. საინტერესოა, რომ „პორტლენდს" ვალი ჰქონია ამ კალათბურთელის – 18,8 მილიონი დოლარი, რომელიც გადახდასაც გუნდი აპირებს.



გოლფის ბურთი თავში მოხვდა

ინგლისის ქალაქ ბიგლსუეიდში, ბედფორდშირის საგრაფოში, ახალგაზრდების გოლფში ვარჯიშის დროს ინციდენტი მოხდა. ერთ მომენტში გოლფის ბურთი მოხვდა 7 წლის გოგონას... ის ადგილობრივი საავადმყოფოს რანინმაციულ განყოფილებაში მიიყვანეს. „მისი მდგომარეობა კრიტიკული, მაგრამ სტაბილური" — აღნიშნავენ ექიმები.

დაკავებულია ბურთის მსროლელი — 16 წლის მოზარდი. მამდენიმეთვის გამოძიება. ცნობილი გახდა, რომ გოგონა იმყოფებოდა 70 მეტრში იმ ადგილიდან, საიდანაც მოზარდმა გოლფისტმა განახორციელა დარტყმა.

მაია-შვილი რინგზე

ლეგენდარული მეძსაკეცე პროფესიონალი მოკრივე ხუალი სუხარ ჩავენისი თავის კარიერაში 116-ე ბრძოლას გამართავს. აქამდე გამარჯვებულ 115 ორთაბრძოლიდან მან 108 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 8-ჯერ დამარცხდა. 2005 წლის 17 სექტემბერს ჩავენის მეტოქეა იქნება ამერიკელი კრეიგ უეზერი.

ხუალი ჩავენთან ერთად რინგზე გამოვა მისი ვაჟიშვილი — 19 წლის ხუალიო სუხარ ჩავენი-უმცროსი, რომელსაც დღემდე 21 ბრძოლა აქვს ჩატარებული და ყველა მათგანში იმარჯვებდა. უმცროსი ჩავენის მეტოქეს ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ვასბანგ დარჩინიანმა ჭიგულები შეინარჩუნა

გუშინ სომხმა პროფესიონალმა მოკრივემ ვახტანგ დარჩინიანმა 50,8 კგ წონით კატეგორიაში იბრძოდა და იმარჯვებდა ჩემპიონის ტიტულები შეინარჩუნა. მან ნოყაუტში გაგზავნა კოლუმბიელი პარა ჰიმენესი. მომდევნო ბრძოლაში დარჩინიანი ლეონ ცელისთან ჩაატარებს.

გაისრნა გაქცის მძღოლი უჩივის

თერჭი ტაქსის მძღოლი აპირებს, სასამართლოში უჩივლოს მსოფლიოს ჭიდჩემპიონს კრიგში მაიკ ტაისონს. საქმე იმაშია, რომ ტაისონმა ხელი კეფაში ჩასცხო მას. ინციდენტი მოხდა გასულ შაბათს, ატამბულში. ამ ქალაქს სკანდალებით ცნობილი მოკრივე ეწვია იმისათვის, რომ დასწრებოდა „ფორჩუნა-1"-ის გრან პრის გათამაშებას. საღამო ხანს, ღამის ბარიდან მეგობართან ერთად გამოსულმა ტაისონმა ტაქსი გააჩერა და მძღოლს ოტეც „ჩრაგანთან" სწრაფად მიყვანა სთხოვა. როდესაც მძღოლს მოქმედებამ ვერ დააკმაყოფილა, მოკრივემ სწორედ მაშინ შემოუწინა ხელი. ეს მომენტი მყისვე დაფიქსირეს ადგილობრივი ტელეკომპანიების ოპერატორებმა.

„გონს გვიან მოვედი... ტაისონი, რა თქმა უნდა, საჭიროებს ცნობილი მოკრივეა, ასეთი ქცევა მას არ შეეხება". — განაცხადა ტაქსის მძღოლმა ენგინ ერგიფლა.

«გაზთესილები» აშშ-ის პირველობისათვის

ზოგიერთში აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს „გაზთესილთა" სია: პირველად ასეთი ტურნირების ისტორიაში, ჯალთა შორის, პირველ ნომრად განთესილია რუსი ზოგიერთი — ყველასათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს მისი ვინაობა, — ეს მარია შარაპოვა, რომელიც ამ კვირის დასწყისში სათავეში ჩაუდგა ეტა-ს საერთო ჩათვლის რეიტინგს.

მეორე ნომრადაა „გაზთესილი" მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი ლინდსეი დევენპორტი. სიაში პირველი ათეულში ამერიკელ მარტინსა (სამარანგოთი), კიმ კლიისტერს (ბელგია), სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა დემენტიევა (რუსეთი — რუსეთი), ვიტუტინ ვნენ-არდენი (ბელგია), სერენა უილიამსი (აშშ), ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი), ვიტუტინ უილიამსი (აშშ).

ვაჟთა შორის „გაზთესილთა" პირველი ათეული კი ასე გამოიყურება: 1. რუფ ფედერერი (შვეიცარია), 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი), 3. ლეიტნ ჰიუიტი (ავსტრალია), 4. ენდი როდიკი (აშშ), 5. მარატ საფინი (რუსეთი), 6. ნიკოლა დავიდენკო (რუსეთი), 7. ანდრე აგასი (აშშ), 8. გილერმო კორია (არგენტინა), 9. გასტონ გაუდიო (არგენტინა), 10. მარიანო პუერტა (არგენტინა).

ქან გოდგი: „კომპაქტ წელს ჭიგულს დაეპირველებით"

„ფორმულა-1"-ის გუნდ „ფერარის" სპორტულმა დირექტორმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ მომავალ წელს დაიბრუნებს ჩემპიონის ტიტულს.

„ფერარის" პილოტები მომდინარე სეზონის დასაწყისისთვის კარგ სპორტულ ფორმაში შევიდნენ. მათ მწარე გაკვეთილი მიიღეს. დარწმუნებული ვარ, 2006 წელი „ფერარისთვის" წარმატებული იქნება", – თქვა ტოდტმა. მისი აზრით, „ფერარის" წლევანდელი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მხოლოდ საბურავები არ არის. „ბნელი წელი დაგვიდგა, მაგრამ მომავალი სეზონისათვის უკეთესად და მოხდომებით უნდა მოვმზადოთ პილოტები", – აღნიშნა ტოდტმა, – „ჩვ დაგაღწევდებით, რომ მე „ფერარიში" 1993 წელს მოვედი და იქიდან მოყოლებული 2000 წლამდე გუნდი ჩემპიონი არ გამხდარა. შემდეგ კი წლების განმავლობაში პირველები ვიყავით. წელს დავკარგეთ ჩემპიონობა და მერწმუნეთ, მხოლოდ ერთი წლით".

ალონსო მოსკოვური ვოიაქის წინ

როგორც ცნობილია, 28 აგვისტოს მოსკოვში შედგება „ფორმულა-1"-ის გუნდ „რენოს" ბოლიდების საგმანსტრაციო გავლა. წლევანდელი სეზონის ლიდერი, ასტურიელი ალონსო გაიელს „მოსკოვრჩას" ხიდს, რომელიც კრემლის სიახლოვეს მდებარეობს. თვით ალონსო მოხარულია, რომ ამ მისიას შეასრულებს.

„მოუთმენლად ველი 28 აგვისტის დარწმუნებული ვარ, ჩვენ საჩვენებელ სელას უამრავი მაყურებელი ეყურება. წითელი მოედნის სიახლოვეს გავიკეთებ ბოლიდებით და ეს ნამდვილი ფანტასტიკა იქნება. მოსკოვის ქუჩები, სადაც უნდა გავიაროთ, შეიძლება მონაკოს შევადაროთ", — ამბობს ფერნანდო ალონსო.

ტესტები მონცაში

მონცაში „ფორმულა-1"-ის გუნდ „მაკლარენს" ბოლიდებმა ტესტები გაატარეს. ხუან პაბლო მონტოიამ ტრასის ახალი რეკორდი დაამყარა – 1 საათი, 19 წუთი და 8,26 წამი.

„ფერარის" პილოტმა ფერნანდო ალონსომ ერთი წამით ნაკლები დრო აჩვენა.

რუბენს ბარიკელო: „პარადიული პრაფერარი"

„ფერარის" პილოტი რუბენს ბარიკელო სულაც არ ნერვიულობს იმაზე რომ მისმა გუნდმა „ფორმულა-1"-ის მომდინარე სეზონში პოზიციები დაკარგა და ვეღარც თანაგუნდელი მიხაელ შუმახერი ბრწყინავს ძველებურად. ბარიკელო წლის ბოლოს გუნდ „ბრაუნ ბილოტი გახდება.

„გული მწყდება, რომ მიდიოდა „ფერარიდან", სადაც 2000 წლიდან ვარ და ბევრი მეგობარი შევიძინე ყველაფერს თავისი დასაბერული აქვს ლენდის გუნდი — „ფერარი", რომელსაც 6 წლის განმავლობაში ვიშენებდით, თანდათან რეიტინგს იწევდა. მერწმუნეთ, ქან ტოდტი, რის ბრალი და მიხაელ შუმახერიც არ დარჩებიან „ფერარიში" დიდი ხნით. ვიმედოვნებ, რომ ახალ გუნდში — „ბარაში" უფრო წარმატებით ვიასპორტებ", — ამბობს რუბენს ბარიკელო.

მნიშვნელოვანი სპორტული გაძაცემები



26 აგვისტო, პარასკევი

НТВ плюс спорт. „ჯარმანის ფორმულა" (10.25). ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი ტრანსია. ქალები. ხორვატია — რუსეთი (11.30), თურქეთი — იტალია (13.15), „ჯიუკი სალამი" (14.45). ხორვატია, „აშშ-ს ღია ჩემპიონატის წინ" (15.15). ატპ-ს საორგანო მიმოხილვა (16.30), ტაილანდური კრივი (17.00), ჯიუი. „სტენლის თასის გათამაშების რუტინისპეტივა". 2004 წელი. ნახევარფინალი. „სან ხოსე" — „ლაკერი". მე-5 მატჩი (18.00). „ნიაგარა" (20.30). „ყველაფერი რაგბის შესახებ" (21.30). მძლეოსნობა. იაიფ-ის საერთაშორისო ტურნირი. „ჯრის ლიგა" ბელგიაში (22.00). EUROSPORT. კანო. მსოფლიო ჩემპიონატი ხორვატიაში. პირდაპირი (11.00). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონობა ლიგა (15.15). მოტოკროსი. ჩეხეთის გრან პრი (15.30). ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ნიუ-ჰეივენში (აშშ) ნახევარფინალი. პირდაპირი (21.00). სუმო (22.30). რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი. „გერმანის რალი" (0.30). ავტოჭიდაობის სპორტი (1.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00)

27 აგვისტო, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. მზე. ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (15.45, 18.00). *НТВ плюс спорт.* ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. თურქეთი — რუსეთი (10.30), იტალია — ხორვატია (13.15), „ყველაფერი რაგბის შესახებ" (12.00). „ნიაგარა" (12.30). სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასის გათამაშება კრემლში 1997 წ. (15.00). მძლეოსნობა. იაიფ-ის საერთაშორისო ტურნირი. „ოჯოს ლიგა" ბელგიაში (16.15). „სპორტული გლობუსი" (18.20), „დიდი რინგი" (19.00). ჩოგბურთი. „აშშ-ის ღია პირველობის წინ". 2000 წელი. ვაჟთა ფინალი (21.30). ფიგურული სრიალი. ბრიან ბოიტანოს შოუ (0.30). EUROSPORT. ავტოჭიდაობები. მსოფლიო ჩემპიონატი. „ტურინგის" კლასი (10.30). ქანო. მსოფლიო ჩემპიონატი ხორვატიაში (11.00). ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი „ნიუ ჰეივენში" (აშშ). ნახევარფინალი (13.30). მოტოკროსი. ჩეხეთის გრან პრი. პირდაპირი (14.45). ფალიბოლი. ესპანეთის ტური. პირდაპირი (18.00). ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ნიუ-ჰეივენში — ფინალი (21.15). კრივი. საერთაშორისო ტურნირი აშშ-ში (22.45). რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი. „გერმანის რალი" (0.30). „ევროსპორტის" ახალი ამბები (1.30

28 აგვისტო, კვირა

საქართველოს ტელევიზია. მზე. ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (19.00). *НТВ плюс спорт.* ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში. ქალები. ხორვატია — თურქეთი (10.30), იტალია — რუსეთი (13.15). ჩოგბურთი. „აშშ-ს ღია პირველობის წინ" (12.00). სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასის გათამაშება კრემლში. 1997 წ. (16.00). ჰოკეი. „სტენლის თასის გათამაშების რეტროსპექტივა". 2004 წელი. ნახევარფინალი. „ტამპა ბეი" — „ფილადელფია". მე-5 მატჩი (16.15). მძლეოსნობა. იტალიის გრან პრი. პირდაპირი (18.45). აფრობა. „ამერიკის თასი" (21.30). „საუკეთესო მიმოხილვა" (22.00). ჩოგბურთი (22.30). ტაილანდური კრივი (0.30). EUROSPORT. რაღი. მსოფლიო ჩემპიონატი. „გერმანის რალი" (10.30). ატპ-ს ტურნირი „ნიუ ჰეივენში". ნახევარფინალი (11.45). ფეხბურთი. ჩეხეთის გრან პრი (11.45). ველოსპორტი. ესპანეთის ტური (19.00). ატპ-ს ტურნირი. მსოფლიო სერია კანადაში (12.00). ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ნიუ-ჰეივენში. ფინალი (1.15). კრივი. საერთაშორისო ტურნირი სოფიაში (2.30).

პროსვორდი

თარაზულად: 1. ცნობილი ქუთაისელი ფალავანი, მ. ჩემპიონი, 9. „მანჩესტერ იუნაიტედი" შემოკლებით, 11. მოსკოვის „სპარტაკის" საფეხბურთო გუნდის ერთ-ერთი დამაარსებელი, 12. გურჯაანის ყოფილი საფეხბურთო გუნდი, 13. თბილისის საკალათბურთო კლუბი, 14. ცნობილი ფეტრარი ქართული მძლეოსანი, მორებული, 17. პირველი კოსმონავტი, 21. ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი, ვალენტინ ... 24. ლიეონაულის" ცნობილი მწვრთნელი, 25. საჰიდაო სპორტის სახეობა, 27. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 28. ბერძნების ძველი სახელი, 29. ნანარინი ფრენა, 30. ცნობილი ქართველი სუმოისტი.

ვერტიკალად: 2. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 3. თბილისში მდებარე ცნობილი ველოდრომი, 4. ქართველი ოლიმპიური პრიზიორი მძლეოსანი ქალი, 5. ძალიან მაღალი ლასის სპორტსმენი, 6. სპორტის სახეობა, 7. თბილისის სტუდენტთა საკალათბურთო გუნდი (შემოკლებით), 8. ქართველი ფეხბურთელი, 9. ოტილიის საფეხბურთო კლუბი, 10. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 15. საფარიკაო იარაღი, 16. ფეხბურთელის ჩასაცმელი, მაისური და ... 18. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 20. თბილისელი საკალათბურთელი ეტიოდისტი, 22. ფეხბურთელ გოგმაშის სახელი, 23. ჩოგბურთელ ნესტასეს სახელი, 26. იაპონელი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე.



მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

მოამზადა ნოდარ ჯაჯანაძემ.

რიგა გოგონის ქრთველობის პასუხები

თარაზულად: 1. „რიდი", 8. ბაღაროკი, 10. მარტელი, 11. „ადანა", 12. ბა, 13. სალო, 15. „ოსლო", 18. „ლიეჟი", 19. არანტი, 21. ჭო, 22. ლიუ, 23. იპონი, 24. „მონცა", 25. სიე

ვერტიკალად: 2. ტრიალაძე, 3. სააა, 4. ბა, 5. სკა, 6. კვალიფიკაცია, 7. „ატლანტა", 9. „ლიონელი", 13. სტელი, 14. მსაჭი, 16. „ლეგია", 17. „ულმი", 20. ტეა.

საჭადრაკო ამბავი

ბაზეთი „დეტროიტ ფრი პრესი" (1878 წელი)

შავმაით 2 სვლაზე

№65-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. .... ც:c5!! 2. ლ:c5 2. ლა7 და 3. ლ:g1X